ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სპაერი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის მიმოხილვა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მიმოხილვა ... 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ... 5
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი) ... 6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ... 7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები ... 8
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები ... 12

MOORE

MOORE abc, LLC
2, D. Gamrekeli Str,
0160, Tbilisi, Georgia
T +995 32 2 000 123
E info@moore.ge
www.moore-georgia.ge

**დამოუკიდებელი აუდიტორის მიმოხილვა**

**ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"-ს მენეჯმენტს**
ყვარლის ქუჩა №160
ქ. თბილისი, საქართველო

**ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება**

ჩვენ ჩავატარეთ **ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"-ს** (შემდგომში "კლუბი") თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების, სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობისა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებებს პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე**

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად პასუხისმგებელია კლუბის მენეჯმენტი. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებასა და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ. მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის (ISRE 2400) (გადასინჯული)-ს შესაბამისად, „*გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ*". ISRE 2400 (გადასინჯული) ჩვენგან მოითხოვს მოსაზრების გამოთქმას იმის შესახებ, მიმოხილვის პროცესში მიიქცია თუ არა ყურადღება ისეთმა ფაქტმა, რომელიც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. გარდა ამისა, ISRE 2400 (გადასინჯული) ჩვენგან მოითხოვს შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ISRE 2400 (გადასინჯული)-ს შესაბამისად წარმოადგენს შეზღუდული რწმუნების გარიგებას. აუდიტორი ატარებს პროცედურებს, რომელიც ძირითადად შედგება კლუბში მენეჯმენტისა და დანარჩენი პერსონალის გამოკითხვების, ანალიტიკური პროცედურების განხორციელებისა და მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისაგან.

მიმოხილვისას ჩატარებული პროცედურები არსებითად ნაკლებია, ვიდრე პროცედურები გათვალისწინებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ფარგლებში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვავთ აუდიტორულ მოსაზრებას წარმოდგენილ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა *(გაგრძელება)*

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

კლუბის დაფინანსება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ დაფინანსებაზე. მიმოხილვის ჩატარების პროცედურების დასრულებამდე არ მომხდარა 2024 წლის შემდეგ კლუბების დაფინანსებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება, რომელიც კლუბის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება წარმოშობს მნიშვნელოვან გაურკვევლობას, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კლუბის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რომელიც სათანადოდ და სრულად არ არის განმარტებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

**პირობითი მოსაზრება**

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი"-ს აბზაცში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა, ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ისეთ ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა რომ თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

**ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ანგარიშის გავრცელებისა და გამოყენების შეზღუდვა**

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ანგარიშის გავრცელების და გამოყენების შეზღუდვა თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელებული ან გამოყენებული სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისა" და ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა". ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

**სოფიო აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი**

*ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544*
*აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-417263*

1 ოქტომბერი, 2024
თბილისი, საქართველო

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა

# საბალანსო უწყისი

[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი სპაერი

| საბალანსო უწყისი | მიმდინარე წელი 31.08.T | ანგარიშგების წელი 31.08.T-1 | ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.) |
|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 123,146.00 | 11,399.00 | 61,670.00 |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | - | - | - |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | - | - | - |
| სხვა დებიტორული დავალიანება | 1,237.00 | - | 106,714.00 |
| საგადასახადო აქტივები | - | 546.00 | (163.00) |
| მატერიალური მარაგები | - | - | - |
| სხვა მიმდინარე აქტივები | - | 8,737.00 | - |
| **მთლიანი მიმდინარე აქტივები** | **124,383.00** | **20,682.00** | **168,221.00** |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 2,342.50 | 3,169.00 | 2,754.00 |
| არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები | - | - | - |
| არამატერიალური აქტივები - სხვა | - | - | - |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | - | - | - |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | - | - | - |
| საგადასახადო აქტივები | - | - | - |
| ინვესტიციები | - | - | - |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | - | - | - |
| **მთლიანი გრძელვადიანი აქტივები** | **2,342.50** | **3,169.00** | **2,754.00** |
| **მთლიანი აქტივები** | 126,725.50 | 23,851.00 | 170,975.00 |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| ბანკის ოვერდრაფტები | - | - | - |
| ბანკის და სხვა სესხები | - | - | - |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | - | - | - |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება | - | - | - |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ | - | - | - |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | 171.00 | - | - |
| დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი | - | - | - |
| მოკლევადიანი ანარიცხები | - | - | - |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | 33,382.50 | - | - |
| **მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები** | **33,553.50** | - | - |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| ბანკის და სხვა სესხები | - | - | - |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | - | - | - |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები | - | - | - |
| თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები | - | - | - |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | - | - | - |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | - | - | - |
| გრძელვადიანი ანარიცხები | - | - | - |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | - | - | - |
| **მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები** | - | - | - |
| **სულ ვალდებულებები** | 33,553.50 | - | - |
| მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები) | 93,172.00 | 23,851.00 | 170,975.00 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| სააქციო/საწესდებო კაპიტალი | - | - | - |
| გაუნაწილებელი მოგება | 93,172.00 | 23,851.00 | 170,975.00 |
| სხვა რეზერვები | - | - | - |
| **მთლიანი საკუთარი კაპიტალი** | **93,172.00** | **23,851.00** | **170,975.00** |
| **მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები** | 126,725.50 | 23,851.00 | 170,975.00 |
| კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები) | TRUE | TRUE | TRUE |
| **მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება** | | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი | 170,975.00 | 30,415.00 | 30,415.18 |

# საბალანსო უწყისი

## [31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი სპაერი

| საბალანსო უწყისი | მიმდინარე წელი 31.08.T | ანგარიშგების წელი 31.08.T-1 | ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.) |
|---|---|---|---|
| პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ | (77,803.00) | (6,564.00) | 140,559.82 |
| კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში | - | - | - |
| ცვლილება გადაფასების რეზერვში | - | - | - |
| სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში | - | - | - |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი | 93,172.00 | 23,851.00 | 170,975.00 |
| შემოწმება | TRUE | TRUE | TRUE |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები** | | | |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში | - | - | - |
| პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი | - | - | - |
| დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | - | - | - |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს | - | - | - |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია** | | | |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში | - | - | - |
| პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა | - | - | - |
| დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | - | - | - |
| გაუფასურების ანარიცხები პერიოდში | - | - | - |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს | - | - | - |
| **ნეტო საბალანსო ღირებულება** | | | |
| პერიოდის დასაწყისში | - | - | - |
| პერიოდის ბოლოს | - | - | - |
| შემოწმება | TRUE | TRUE | TRUE |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 01.10.2024

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
დირექტორი - ზურაბ ჯავახიშვილი

თარიღი: 01.10.2024

## საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

# მოგება-ზარალის უწყისი

[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი სპარტი 0

| მოგება-ზარალის უწყისი | მიმდინარე წელი 31.08.T | ანგარიშგების წელი 31.08.T-1 | ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.) |
|---|---|---|---|
| | 0 | 0 | 0 |
| ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები | - | - | - |
| ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები | - | - | - |
| ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები | - | - | - |
| ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები | - | - | - |
| ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | - | - | - |
| **სულ ამონაგები ბილეთებიდან** | - | - | - |
| სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი | - | - | - |
| სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი | - | - | - |
| სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი | - | - | - |
| სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე | - | - | - |
| სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | - | - | - |
| **სულ სპონსორობა და რეკლამა** | - | - | - |
| ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები | - | - | - |
| ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | - | - | - |
| **სულ ტრანსლაციის უფლებები** | - | - | - |
| კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები | - | - | - |
| კომერციული - საქონლის გაყიდვა | - | - | - |
| კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში | - | - | - |
| კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | - | - | - |
| **სულ კომერციული** | - | - | - |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები | - | - | - |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი | - | - | - |
| უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | - | - | 105,477.00 |
| **სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა** | - | - | **105,477.00** |
| სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან | - | - | - |
| სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან | 409,800.00 | 419,900.00 | 707,800.00 |
| შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან | - | - | - |
| შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან | 35,000.00 | 63,000.00 | 67,000.00 |
| შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან | 7,500.00 | 5,175.00 | 5,175.00 |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი | - | - | - |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი | 97,981.00 | 45,448.00 | 101,816.00 |
| **სულ სხვა შემოსავალი** | **550,281.00** | **533,523.00** | **881,791.00** |
| **სულ შემოსავალი** | **550,281.00** | **533,523.00** | **987,268.00** |
| რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი | - | - | - |
| **სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე** | - | - | - |
| ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება | (198,253.00) | (194,422.00) | (313,998.00) |
| ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები | (54,555.00) | (52,713.00) | (92,963.38) |
| ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | - | - | - |
| **სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები** | **(252,808.00)** | **(247,135.00)** | **(406,961.38)** |
| სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება | (114,663.00) | (69,188.00) | (123,970.00) |
| სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები | (31,532.00) | (18,746.00) | (37,289.00) |
| სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | (3,600.00) | (1,400.00) | (5,876.00) |
| **სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები** | **(149,795.00)** | **(89,334.00)** | **(167,135.00)** |
| თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი | - | - | - |
| **სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები** | **(402,603.00)** | **(336,469.00)** | **(574,096.38)** |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | (827.00) | (827.00) | (1,241.80) |
| სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა) | - | - | - |
| ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება | - | - | - |
| **სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)** | **(827.00)** | **(827.00)** | **(1,241.80)** |
| მატჩის დღის ხარჯები | (11,930.00) | (6,468.00) | (9,610.00) |
| სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები | (280.00) | (1,252.00) | (1,492.00) |

კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა

# მოგება-ზარალის უწყისი

[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი სპაერი 0

| მოგება-ზარალის უწყისი | მიმდინარე წელი 31.08.T | ანგარიშგების წელი 31.08.T-1 | ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.) |
|---|---|---|---|
| კომერციული აქტივობების ხარჯები | 0 | 0 | 0 |
| უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები | - | - | - |
| არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები | (7,356.00) | (5,185.00) | (8,133.00) |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები | - | - | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | - | - | - |
| **სულ სხვა საოპერაციო ხარჯი** | (207,699.00) | (194,886.00) | (257,139.00) |
| | **(227,265.00)** | **(207,791.00)** | **(276,374.00)** |
| **სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)** | | | |
| | **(630,695.00)** | **(545,087.00)** | **(851,712.18)** |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | - | - | - |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | - | - | - |
| მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | - | - | - |
| ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | - | - | - |
| **წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან** | | | |
| **კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით** | - | - | - |
| მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან | - | - | - |
| მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან | - | - | - |
| **სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან** | - | - | - |
| ფინანსური შემოსავალი | - | - | - |
| ფინანსური ხარჯი | - | - | - |
| **წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)** | - | - | - |
| სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო) | 2,611.00 | 5,000.00 | 5,004.00 |
| სხვა ხარჯი (არასაოპერაციო) | - | - | - |
| **წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)** | **2,611.00** | **5,000.00** | **5,004.00** |
| საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი) | - | - | - |
| **მოგება (ზარალი) დაბეგვრის შემდეგ** | (77,803.00) | (6,564.00) | 140,559.82 |
| დივიდენდები | - | - | - |
| **მოგება (ზარალი) დივიდენდების შემდეგ** | (77,803.00) | (6,564.00) | 140,559.82 |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 01.10.2024

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
დირექტორი - ზურაბ ჯავახიშვილი თარიღი: 01.10.2024

FOOTBALL CLUB SPAERI

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა

# ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძიებელი: ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი სპაერი

| ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი | მიმდინარე წელი 31.08.T | ანგარიშგების წელი 31.08.T-1 | ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.) |
|---|---|---|---|
| წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან | 61,475.68 | (6,769.00) | 43,502.00 |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | | | |
| მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | - | - | - |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | - | - | - |
| ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | - | - | - |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი | - | - | - |
| **ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან** | - | - | - |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | | | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | - | - | - |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები | - | - | - |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები | - | - | - |
| სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები | - | - | - |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან | - | - | - |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | - | - | - |
| **ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან** | - | - | - |
| სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) | - | - | - |
| წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში | 61,475.68 | (6,769.00) | 43,502.00 |

## ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია

| | | | |
|---|---|---|---|
| საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი | 61,670.00 | 18,168.00 | 18,168.00 |
| წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში | 61,475.68 | (6,769.00) | 43,502.00 |
| საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი | 123,145.68 | 11,399.00 | 61,670.00 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან) | 123,146.00 | 11,399.00 | 61,670.00 |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 01.10.2024

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
დირექტორი - ზურაბ ჯავახიშვილი თარიღი: 01.10.2024

FOOTBALL CLUB SPAERI

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

### შენიშვნა 1. კლუბის შესახებ

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი" (შემდგომში „კლუბი") რეგისტრირებულია 2017 წლის 7 მარტს. მარეგისტრირებელი ორგანი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 406203558

„კლუბი"-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი ისანი-სამგორის რაიონი, ყვარელის ქ.N 160. „კლუბი"-ს ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საფეხბურთო საქმიანობა, ფეხბურთელთა წრთვნები და ტურნირებში მონაწილეობა.

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"-ს დამფუძნებლები არიან:

- ანზორ ჩუბინიძე
- კახაბერ მაისურაძე
- ლევანი ჩხაიძე
- ვასილი სუმბაძე
- ირაკლი ფოჩხუა

### შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა

- **მომზადების საფუძველი**

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება" მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება" არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება" მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

- **ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა**

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

- **უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2024 წლის 31 აგვისტოსთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

| | აგვისტო 31, 2024 | აგვისტო 31, 2023 |
|---|---|---|
| ლარი / 1 აშშ დოლარი | 2.9809 | 2.6292 |
| ლარი / 1 ევრო | 2.6911 | 2.8621 |

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები *(გაგრძელება)*

შენიშვნა **2.** სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

- *ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალებები მოცემულია ფასით - ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

| აქტივების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---|---|
| ავტომობილები | 5 წელი |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 5-7 წელი |
| სპეც. ტექნიკა | 5 წელი |

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების გაწევის მომენტში.

- შემოსავალი და დარიცხვები

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, UEFA-სგან მისაღები თანხები და სხვა შემოსავლები.

**დაფინანსება / სუბსიდია -** მიღებულ დაფინანსებასთან/სუბსიდიასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას მიღებული დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

**სხვა შემოსავალი -** სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად.

შენიშვნა **3.** გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით, თუმცა არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ვინაიდან კლუბის დაფინანსება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ დაფინანსებაზე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, კლუბისთვის არ არის ცნობილი 2024 წლის შემდგომ დამტკიცებული ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამის შესახებ.

შენიშვნა **4.** ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 31-აგვ-2024 | 31-აგვ-2023 |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები ბანკში | 123,146 | 11,399 |
| **სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები** | **123,146** | **11,399** |

შენიშვნა **5.** სხვა დებიტორული დავალიანება

სხვა დებიტორული დავალიანება შედგება მომწოდებელზე გადახდილი ავანსებისგან.

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები** *(გაგრძელება)*

**შენიშვნა 6. სხვა მიმდინარე ვალდებულებები**

სხვა მიმდინარე ვალდებულებები შედგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ არსებული ვალდებულებებისგან.

**შენიშვნა 7. სუბსიდიები, გრანტები დას ხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან**

სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან მოიცავს ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან მიღებულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში.

**შენიშვნა 8. სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი**

სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი წარმოადგენს სწავლებიდან მიღებულ შემოსავალს.

**შენიშვნა 9. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება**

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს წლის განმავლობაში ფეხბურთელებზე დარიცხულ ანაზღაურებას - ძირითად ხელფასსა და პრემიას.

**შენიშვნა 10. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება**

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს კლუბის სხვა პერსონალზე - მწვრთნელები, ადმინისტრაციული, სამედიცინო და სხვა პერსონ ლზე დარიცხულ ძირითად ხელფასსა და პრემიას.

**შენიშვნა 11. მატჩის დღის ხარჯები**

მატჩის დღის ხარჯები მოიცავს მატჩის საორგანიზაციო საკითხებისთვის გაწეული ხარჯების საფასურს, ტრანსპორტირების, სასტუმროსა და სამედიცინო ხარჯებს.

**შენიშვნა 12. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი**

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს ოფისის, მივლინების (მათ შორის სასტუმრო და ტრანსპორტირება) ხარჯებს, აუდიტისა და ბანკის მომსახურებას, ფოსტისა და სახელმწიფო სერვისების მომსახურებას, სპორტული ინვენტარის და ეკიპირების, საწვრთნ, საიტის, საწვავის, ლიცენზიისა და ჯარიმის, რემონტისა და სხვა აუცილებელ ხარჯებს.

**შენიშვნა 13. ანარიცხები და პირობითი ვალდებუ ლებები**

- **სასამართლო დავები**

2024 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის კლუბი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

**შენიშვნა 14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან**

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კლუბს საანგარიშგებო პერიოდზე არ ჰქონია ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები *(გაგრძელება)*

### შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 9 სექტემბერს კლუბმა მიიღო 27,000 ლარის შემოსავალი ფეხბურთის განვითარების ფონდიდან.

2024 წლის 25 სექტემბერს კლუბის კაპიტალი გაიზარდა 38,700 ლარით.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

## ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

## უბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა აფგ პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი [31 აგვისტო / ერო ლიცენზირება]

**ლიცენზიის მაძიებელი:** ააიპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"

| ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი | მიმდინარე წელი 31.08.T | ანგარიშგების წელი 31.08.T-1 | ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.) | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| **ხარჯები** | | | | |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში | 68,954.00 | 45,408 | | მწვრთნელების ხელფასები |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე) | - | | | |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე) | | | | |
| საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი , სასტუმროები და სხვ.) | 520.00 | | | სასტუმროს ხარჯი |
| სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია) | | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი | 3,600.00 | 1,000 | | მწვრთნელთა განათლების C ლიცენზიის კურსის გადასახადი |
| აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით) | | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები | | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი | **4,060.00** | **14,292** | | **ეკიპირება და ინვენტარი** |
| აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა) | | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი | 11,950.00 | 8,300 | | სპაერის გუნდების ჩემპიონატში მონაწილეობის თანხა, ელიტ ლიგა |
| ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.) | | | | |
| **სულ აფგ პროგრამის ხარჯები** | **90,084.00** | **69,000.00** | - | |
| **შემოსავლები** | | | | |
| უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, საწევროები და ა.შ.) | 9 101.00 | 45448.1 | | სწავლის გადასახადები |
| უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | 105,477.00 | | | უეფადან მიღებული თანხა |
| სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | | | | |
| სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | | | | |
| ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! | | | | |
| **უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი** | **198,578.00** | **45,448.10** | - | |
| **წმინდა შედეგი** | **108,494.00** | **(23,551.90)** | - | |

**ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:**

უფლებამოსილი პირი: **დირექტორი - ზურაბ ჯავახიშვილი**

თარიღი: 01.10.2024

**ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:**

აუდიტორული კომპანია: **შპს "მოორ ეიბისი"**

უფლებამოსილი წარმომადგენელი: **სოფო აბაიაძე**

თარიღი: **01.10.2024**

- დოკუმენტის დასასრული -